შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა № 2016/3-1

2015 წლის 30 დეკემბრის №2016/3 ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი „15“ „იანვარი“ 2016 წ.

სსიპ „სმართ ლოჯიქი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი მეჟლუმიანის** სახით და **შპს „დელტა-ნეტი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **პაატა ქიქოძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, **სსიპ „სმართ ლოჯიქსა“** და **შპს „დელტა-ნეტს“** შორის 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული **№2016/3** ხელშეკრულების 11.1 პუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების განხორციელებაზე:

მუხლი 1.

ხელშეკრულების 3.1. პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **6’153.00** (ექვსიათას ასორმოცდაცამეტი) ლარს.

მუხლი 2.

ხელშეკრულების დანართი №1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს წინამდებარე შეთანხმების დანართი №1-ის სახით.

მუხლი 3.

წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და წარმოადგენს **სსიპ „სმართ ლოჯიქსა“** და **შპს „დელტა-ნეტს“** შორის 2015 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული **№2016/3** ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან მთლიანობაში.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ „სმართ ლოჯიქი“, წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის **გიორგი მეჟლუმიანის** სახით, **მისამართი:** თბილისი, გორგასლის ქ. 24ა, **ტელეფონი:** 240 51 60, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, სკ - 206350599	**შპს „დელტა-ნეტი“**, წარმოდგენილი დირექტორის **პაატა ქიქოძის** სახით, **მისამართი:** თბილისი, გაფრინდაულის ქ. 2, **ტელეფონი:** 219 30 00, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE03TB7244836070100001, სს „თიბისი ბანკი“, კოდი: TBCBGE22, სკ - 404398503
---	---

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ჩამოთვლილი ოფისების ჩართვა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობამდე (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 24ა).

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ოპტიკური კონვერტორებისა და შესაბამისი ოპტიკური პაჩკორდების საკუთარი ხარჯებით მოწყობა.

ჩართვისათვის მიმწოდებელმა უნდა გამოიყენოს შიდა (არა გლობალური) IP მისამართები და ჩართვის ტექნოლოგია MPLS-L2/L3 VPN-ი.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მოთხოვნილი მინიმალური სიჩქარის მიწოდება 90% დატვირთვისას არაუმეტეს 20 მილიწამი დაყოვნებით.

№	ობიექტის დასახელება	ობიექტის მისამართი	მინიმალური გარანტირებული სიჩქარე	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	რუსთავის იუსტიციის სახლი	ქ. რუსთავი, მეგობრობის გამზ. 19	20Mb	450
2	ახალციხის იუსტიციის სახლი	ქ. ახალციხე, თამარაშვილის ქუჩა	10Mb	260
3	ყვარლის იუსტიციის სახლი	ქ. ყვარელი, კუდიგორის ქ. 1	10Mb	260
4	თელავის იუსტიციის სახლი	ქ. თელავი, ერეკლეს გამზ. 2	20Mb	260
5	გურჯაანის იუსტიციის სახლი	ქ. გურჯაანი, თამარ მეფის ქ. 14	10Mb	260
6	გორის იუსტიციის სახლი	ქ. გორი, გურამიშვილის ქ. 5	20Mb	450
7	მარნეულის იუსტიციის სახლი	ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. 1	10Mb	260
8	ბათუმის იუსტიციის სახლი	ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. 7	100Mb	1250
9	ქუთაისის იუსტიციის სახლი	ქ. ქუთაისი, ი. აბაშიძის ქ. 20	50Mb	450
10	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. 2	10Mb	140
11	ქარელის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ. ქარელი, ნინოშვილის ქ. 3	10Mb	140
12	სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“	ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. 3ა	50Mb	737
13	ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა	ქ.ხობი, ცოტნე დადიანის ქ.189	20Mb	320
14	თიანეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა	დაბა თიანეთი, რუსთაველის ქუჩა №67	30Mb	800
15	თიანეთის იუსტიციის სახლი	დაბა თიანეთი, ერეკლეს ქ.	10Mb	210

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს არხების გამართული მუშაობა. არხის დაზიანების შემთხვევაში დაზიანების აღმოფხვრა უნდა მოხდეს არა უგვიანეს შემთხვევის დაფიქსირებიდან 4 საათის განმავლობაში (დილის 09:00 საათიდან საღამოს 21:00 საათამდე, კვირაში 7 დღე). არასამუშაო საათებში დაფიქსირებული პრობლემა უნდა მოგვარდეს არაუგვიანეს მომდევნო დღის 10:00 საათისა.

მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მხარდაჭერის სამსახურის ფუნქციონირება, რომლის სრული რეკვიზიტებიც (ტელეფონი, ელ ფოსტა და ა.შ) უნდა აცნობოს შემსყიდველს და უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა 24 საათის განმავლობაში მომსახურების გაწევის სრულ პერიოდში.

მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ამ ობიექტებზე არსებული ოპტიკური ჩართვების ალტერნატიული გზით და საკომუნიკაციო აპარატურით მიწოდება.

სსიპ „სმართ ლოჯიქი“,

შპს დელტა-ნეტი“,